

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2019 წელი, 24 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, მ. ზოიძე, ალ. ღლონტი, ლ.

ბიგვავა, ნ. ორაგველიძე, რ. სკამკოჩაიშვილი, ლ. სიჭინავა,
ლ. ნინიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. კომისიაში შემოსული კორესპოდენციაზე მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაგზავნილ წერილებზე მიღებული პასუხების შესახებ.

მომხს:ლ საჯაია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წლში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შესახებ.

მომხს:ლ საჯაია

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აპრილის „და კარის სხდომის“ ოქმის შესახებ.

მომხს:ლ საჯაია

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია კომისიაში შემოსული მოქალაქის-დვაბზუს საჯარო სკოლის პედაგოგის მანონი მამალაძის, რომელიც ასწავლის დაწყებით კლასებში აქვს საკუთარი ლექსების კრებული, რომელსაც იყენებს სწავლების პროცესში. სასიგნალო ეგზემპლარის გამოსაცემად მერიის მიერ თანხის გამოყოფის თაობაზე,

მერიისგან მიღებულია პასუხი - უარი ეთქვას თანხის გამოყოფაზე. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მერიას შეეძლო თანხის გამოყოფა ბიუჯეტის განათლების ხელშეწყობის პროგრამული მუხლიდან, მითუმეტეს, როცა კომისიის წევრ მ. ჩხიკვიშვილის აზრით ეს წიგნი განკუთვნილია დაწყებით კლასებში სწავლების გაუმჯობესებისათვის. მეორე მოქალაქის -პავლე გეგეჭკორის - მრავალშვილიანი ოჯახის, რომელიც ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში და კომისიამ მიმართა წერილით მერიას შეეძინა მისთვის სოფლად საცხოვრებელი სახლი-მიღებულია პასუხი - ამ ეტაპზე გადაუხდინან ბინის ქირას და დაეხმარებიან მედიკამენტების შეძენაში. კომისიის წევრებმა ლ. სიჭინავამ და ნ. ორაგველიძემ გამოთქვეს აზრი მომავალი წლის ბიუჯეტში მაინც გაითვალისწინონ ამ ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენა, მით უფრო, რომ მეზობელ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოხდა მსგავსი ოჯახისათვის საცხოვრებლის შეძენა.

კომისიის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შესახებ“ აღნიშნეს, რომ ანგარიში წარმოადგენს მერიის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშების სინთეზს, მასში ნაკლებად სჩანს მერის, როგორც ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს მიერ გაწეული საქმიანობა სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით - ესაა მერიის სამსახურების საქმიანობის ორგანიზაციულ-სტრუქტურული გაუმჯობესება, ბიუჯეტის დაგეგმვა, ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდა, ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა-ინოვაციური წინადადებებისა და საკუთარი ინიციატივების განხორციელებით მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა და სხვა. კომისიის წევრ ნ. ორაგველიძის განცხადებით კარგი იქნებოდა მუნიციპალიტეტის მერს მთავრობის წინაშე დაესვა საკითხი მუნიციპალური საავადმყოფოს ან პოლიკლინიკის გახსნის თაობაზე, რომელიც მოემსახურებოდა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

მოისმინეს და იმსჯელეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აპრილის „ღია კარის სხდომის“ ოქმის შესახებ. აღნიშნეს, ცუდია რომ მუნიციპალიტეტის მერმა და თანამდებობის პირებმა არ შეასრულეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 123-ე მუხლის მოთხოვნა და არ მიიღეს მონაწილეობა სხდომის მუშაობაში, განიხილეს ამომრჩევლების მიერ დაყენებული წინადადებები, რომლებიც დარგობრივად შედის კომისიის კომპეტენციაში და ხაზი გაუსვეს, რომ გააკონტროლებენ მათ რეალიზაციას მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელსაც გადაგზავნილი აქვს სხდომის ოქმი.

გადაწყვეტის:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შესახებ“ საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.
2. მერიიდან შემოსული პასუხები მოქალაქეების - მ. მამალაძის და პ. გეგეჭკორის განცხადებების თაობაზე მიღებულ იქნას ცნობად.
3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აპრილის „ღია კარის

სხდომის“ ოქმში კომისიის კომპენტეციაში შემავალი ამომრჩევლების მიერ დაყენებული საკითხების მერიის მიერ რეალიზაცია აყვანილ იქნას კონტროლზე.

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია